საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა საორგანიზაციო კომიტეტი

№ 138 პარასკევი, იანვრის 5 (18) 1918 წ. № 138

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

გერმანიის მთავრობა აპატიმრებს ზავის მომხრე სოციალისტებს, რუსეთის ქვეშევრდომებს.—გერმანელებმა ბალტიკის ზღვაში ნაღმოსანი ჩასძირეს: დაიღუპა 30 ოფიცერი და 180 მეზღვაური.—დონის ოლქის და უკრაინის საზღვრებზე უკრაინელებსა და ბოლშევიკებს შორის განუწყვეტელი ბრძოლა სწარმოებს.—15 იანვარს საყოველთაო მობილიზაცია დაიწყება ამიერკავკასიაში.—ბაქოში არეულობაა: ხალხი ამხედრდა სასურსათო კომიტეტის წინააღმდეგ.

სოციალისტ-ფედერალისტთა კონფერენცია დაიწყება ხვალ, 6 იანვარს.

განცხადების ფასი: ხვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე შიდებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მან., უკან—ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზე დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 3 ხაზის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თავართქილაძესეული „ნადვედა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ერთი მანეთით შეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში,

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის მისამართი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", поч. ящ. 190.

ფასი 20 კაპ.

ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სახალხო საქმე"-ზე

ხელის მოწერის პირობები: წლით 50 მანეთი, ნახევარი წლით 27 მან., 3 თვით—13 მან. 50 კაპ. ერთი თვით—4 მან. 50 კაპ.

ნომერი ღირს 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

ფოსტით გაზეთის ლაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Тифлисъ, ред. „Сахалхо Сакме", почт. ящ. 190,

რედაქციაში მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, სადამოთი: 5—7 საათამდე. რედაქციის მისამართი: სასახლის ქ. № 6, შესავალი ეზოდან. კვირაობით კანტორა მხოლოდ დღისით არის ღია.

ყველა ხელის მოწერის ვინც მიიღო რედაქციიდან ხელის მოსაწერი ბლანკები ვთხოვთ ფული გამოგზავნონ შეცვლილ განცხადების მიხედვით.

დრმა მწუხარებით გულმოკლულნი ძმა შალვა არტემის ძე მიქელაძე, ქრისტინა არტემის ასული შატბერაშვილისა, სიძე ნიკოლა მერაბის ძე შატბერაშვილი, დისწულები: ლიდა, პეტრე, ნინო, კოლია და ვახტანგ შატბერაშვილები და ბიძაშვილები ნესტორ და ვერა მიქელაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ივანე არტემის ძე მიქელაძე,

ორთაჭალის ტამბოვის გოსპიტალში, საიდანაც გამოასვენებენ პარასკევს, 5 იანვარს და წაასვენებენ დ. სამტრედიაში იქიდან კი სოფ. კულაში, სადაც იქნება დაკრძალული საგვარეულო ეკლესიაში. 16

ვასო ბეგანის ძე ყიფიანი და ალექსანდრე გიორგის ძე შატბერაშვილი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფას ამხანაგის

ვანო არტემის ძე მიქელაძის

დაკარგვას. 17

გულდამწვარი შვილები იულია და ცუცა აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა დაუვიწყარი დედა

ნინო ლევანის ასული გამყრელიძისა.

გამოსვენება ცხუკრის დღეს 1 საათ. ანდრიევის ქ. № 11 მ. ბინა 2. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 20

ДИДИ ЦИРКИ

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო. შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 6 იანვარს ნათლისღების დღეს გაიმართება

2 სადღესასწაულო წარმოდგენა

დღისით ბავშვებისათვის სადამის პროგრამით მე 3 გასტროლი სერბელ ქალის მსროლელის ვიოლინის. გასტროლი ცნობილი აკრობატების ძმები. საუკეთესო მოქისითის ვლადიმიროვის გასტროლები. აგრეთვე ცნობილი კომიკოსების ძმ. ირონაშის გასტროლები, ბაგრძელება, და ს ხვ. არტისტების. ჰიდაობს 5 წყვილი: 1 ადამოვიჩი და ემილიანოვი, 2. სტანისლავ ზბიშკო და ბრონენოსცევი, 3. რაგო და იაგუარი, 4. ბელგიელი ალფონს სტერსი და ბერგი, 5. ვანო მედელაური და ბესკი. წაიკითხეთ აფიშები.

ანონსი: კვირას 7 და ორშაბათს 8 იანვარს გაიმართება გრანდიოზული წარმოდგენები, ახლო მომავალში გაიხსნება საზამთრო სეზონი. 23

საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტი აცხადებს

ამხანაგებს, საყურადღებოდ, რომ

შაბათს, 6 იანვარს, ტფილისში გაიხსნება სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის დელეგატთა

კონფერენცია

სახაზინო თეატრი

კვირას, 7 იანვარს დილით

ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა მიერ ქართული სცენის საუკეთესო ძალების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ღალატი

ისტ. დრ. 5 მოქ. ალ. სუმბათაშვილისა.

მომქმედნი პირნი: ზეინაბი—ეფ. მესხი, ოთარბეგი—ვალ. გუნია, სულეიმანი შ. შარაშიძე, გიიანე—ტასო აბაშიძე, ბესო—ვასო აბაშიძე, ისახარი—ელ. ჩერქეზიშვილი, რუქაია—თ. გოგოლაშვილი, ანანია—ე. გამყრელიძე, დათო—ალ. იმედაშვილი, ერეკლე—ი. ქივიძე, ყარა-იუსუფი—ვალ. შალიკაშვილი, მაიკო—ნ. ჯავახიშვილი, სანა ბერი—ი. ივანიძე და სხვა.

ბილეთები იყიდება სახაზინო თეატრის კასაში. დასაწყისი შუადღ. 1-დის ნახ.

რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი. 22 გამგე ი. ქივიძე.

სახელოსნო კლუბი

იწვევს ბ.ბ. წევრებს და კანდიდატებს დაეჩქარონ საწევრო ბილეთების განახლება. უკანასკნელი ვადა 20 იანვარსაა. ვინც იქამდე არ განაახლებს საწევრო ბილეთებს—გამორიცხულ იქნება წევრობიდან და შემდეგ მიიღებენ საერთო წესით. 18

ახალი სკოლა-პანსიონი

მ. ერისთავისა სოფ. დოესში. მიიღება მოწაფეები მოსამზადებელ 2 და 3 კლასებში.

ამზადებენ როგორც ქართული ისე რუსული გიმნაზიებისათვის. მისამართი დავიდოვას ქუჩა № 43, კნ. რუსიეევისას 4—7 საათამდის.

განცხადება

ყველა ოფიცრები და ჯარისკაცნი, რომლებიც ჩარიცხულნი არიან 3-მე ქართველთა მსროლელ პოლკში უნდა გამოცხადდნენ არა უგვიანეს 10 იანვრის 1918 წლისა დაბა ყვირილაში, გარდა სასამსახუროთ გაგზავნილნებისა.

10 პოლკის კომანდირი პოდპოლკოვნიკი ჩხეტიანი.

ომში დაჭრილთა და დაზარალებულთა კავშირი

მიჰმართავს ყველა ომში დაჭრილს და ავადმყოფს მობრძანდნენ საქალაქო დარბაზში 5 იანვარს 1918 წელს საღამოს 5 ს. საერთო კრებაზე. დ რწმუნებული ვართ, რომ კრებას ყველა დაესწრობა, რადგან ეს საერთო კრება აირჩევს საქალაქო კომიტეტს ომში დაჭრილ და დაზარალებულთა საშველად.

1006 ტფილისის ომში დაჭრილთ და დაზარალებულთა კავშირი.

1918 წლის პირველ იანვრიდან

მიიღება ხელის მოწერა ყოველთვიურ სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ჟურნალ

„პრომეთე"-ზე

ხელის მოწერის პირობები ჯერ-ჯერობით შემდეგია: ჟურნალი სამი თვით ეღირება 9 მანეთი, ცალკე ნომერი 3 მან.

ჟურნალის უახლოესს თანამშრომლებად მოწვეული არიან:

აკაკი შანიძე, აკაკი პაპავა, იოსებ ყიფშიძე, კოწია გამსახურდია. გამომცემელი: ისიდორე ხატურუა.

ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში—„სახალხო საქმის" კონტორაში ნინო ნეიმანთან; „სახალხო საქმის" სტამბაში დ. მგალობლიშვილთან; ქუთაისში „ხალხის მეგობრის" რედაქციაში გიგლა მებუკეთან და თინა გვეტაძეთან. ხონში ბაბილინა ხაინდრავათან; ჭიათურაში ნინო დგებუაძეთან; გორში სიმონ მაჭავარიანთან; თელავში სიმონ წერეთელთან.

ჟურნალის დასაკვეთი ფული და აგრეთვე მასალა ჟურნალისათვის უნდა გამოიგზავნოს შემდეგ მისამართით: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „პრომეთეს" რედაქციას.

ტფილისი, 5 იანვარი 1918 წ.

მრიცხა ამიერკავკასიაში

ვინ იცის, რამდენი ხანია ჩვენი ქვეყანა ელოდა იმ რეფორმების განხორციელებას, რაიც რუსეთში ნახევარ საუკუნეზე შეტია შემოღებულია. ძველი თვითმპყრობელობა თუ სასტიკი იყო საერთოდ რუსეთისათვის, უფრო სასტიკი იყო განაპირა ქვეყნებისათვის. ვის არ ახსოვს რამდენი თათბირი და კრებები გაგვამართვინა ადგილობრივმა უმაღლესმა მთავრობამ და რამდენი გვალაპარაკა ერობის ტიპის შესახებ. მაგრამ ყველაფერი ამაოდ დარჩა, ვინაიდან ძველი მთავრობა „მომზადებულად" არ გვთლიდა და არსებითად წინააღმდეგი იყო ყოველ ცვლილებისა. ალბად ინსტიქტით გრძნობდა, რომ ერობას შეუძლიან ერთნაირი განახლება შეიტანოს ჩვენს დამყაყებულ ცხოვრებაში და სხვივი მოჰფინოს შავბნელ ცხოვრებას. მაგრამ მოხდა რევოლიუცია, ძველი დაბრკოლებანი ჩვენში ერობის შემოღებას რომ უშლიდა ხელს, უკვე გაჰქრა, ხოლო აქამდე ვერ მოგვიხერხებია და ვერ განგვიხორციელებია ეს უბრალო რეფორმა. რევოლიუციონური შემოქმედება ჩვენშიაც ისეთი ნელი და უძლური იყო, როგორც რუსეთში და ყველაფერში აქამდე ძალაუნებურად მივსდევდით უკან ცენტრს და მაჩანჩალობას ვეწეოდით. ეხლა გარემოებამ გვაიძულა უფრო ფხიზლად ვყოფილიყავით და რევოლიუციის პროცესში განგვიხორციელებინა ეს უბრალო საერობო რეფორმა, რომელსაც დიდი ხანია ელოდა მთლად ამიერკავკასია და კერძოდ საქართველო.

დღევანდელს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ზოგიერთი ცნობები იმ კომისიის მუშაობის შესახებ, რომელსაც მინდობილი აქვს შეიმუშაოს ზომები ერობის განსახორციელებლად. ხოლო დეკრეტი ერობის შემოღებისა უკვე თვეზე მეტია გამოცემულია. საადმინისტრაციო გადამიჯვნა, რომელიც ერთნაირად ხელს უშლიდა ამ რეფორმას—ჯერ არ გათავებულა, მაგრამ დაყოვნება ყოვლად შეუძლებელია და ერობა უნდა განხორციელდეს იმ ადგილებში მაინც, რომელიც უდავოა, ჩვენი ცხოვრება და განსაკუთრებით საეკონომიო მხარე საშინლად არეულ-დარეულია, სოფელი დღეს უმწეოდ არის დარჩენილი და ამისთანა პირობებში საერობო დაწესებულებებს უდიდესი სამსახურის გაწევა შეუძლიანთ. თუ მივიღებთ მხედველობაში სოფელში ინტელიგენტურ ძალების ნაკლებობას—პირველ ხანებში საქმე გაგვიჭირდება. ამიტომ საჭიროა ეროვნულმა საბჭომ ზომები მიიღოს და წიგნაკებით და ბროშიურებით მოჰფინოს სოფელი, რათა ხალხმა ნათელი წარმოდგენა იქონიოს ერობასა და მის მნიშვნელობაზე. ყოველი შეგნებული ქართველის მოვალეობაა შესაფერი პროპაგანდა და მუშაობა გასწიოს ხალხში, რათა ჩვენი სამეურნეო ცხოვრება ერობის საშუალებით ოდნავ მაინც ჩადგეს ნორმალურ კალაპოტში.

კომისიის მიერ გამოქვეყნებულ ცნობების მიხედვით ამ ცოტა ხანში უკვე დაიწყება არჩევნები საერობო ხმოსნებისა მთელ საქართველოში. ჩვენმა ამხანაგებმა შ. საფერისი სამზადისი უნდა იქონიონ და შეეცადონ ამ ნორჩ და ხალხისათვის სასარგებლო დაწესებულებებში ისეთი ადამიანები გავიდნენ, რომელნიც ერთგულნი იქნებიან ხალხის და რევოლიუციისა. ამ შემთხვევაში დიდი სიფრთხილეა საჭირო. ვინაიდან თუ ამ საქმის სათავეში უვარგისი ელემენტები მოექცნენ—უიმედოა სახეფს გაუტეხონ როგორც თვით რეფორმას, ისე საერთოდ რევოლიუციონურ ორგანოებს, რომელთა მეოხებითაც იგი ხორციელდება. ვიმეორებთ, ამხანაგების მოვალეობაა ყურადღებით მოეპყრან ერობის საქმეს და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მის განხორციელებაში, რათა ქართველი ერის მეურნეობას მცირედი მალამო მაინც დაედოს.

მომენტი და ჩვენი ტაქტიკა

(ბაკონფერენციიდან*)

დამფუძნებელი კრება და ზავი.

თავის თავად ცხადია, მას შემდეგ, რაც მთლიანი რუსეთი არ არსებობს—ვერც ძველი დამფუძნებელი კრება იქნება მდგომარეობის გამომხატველი. მისი არჩევნები ჰხდებოდა მთლიანის რუსეთის არსებობის შეგნებით. ხოლო ეხლა გარემოება იცვლება. სახელმწიფო დაინგრა, დაიშალა, იგი დანაწილებულია ცალ-ცალკე ეროვნულ და ტერიტორიალურ ერთეულებად. ერები ამ ჟამად ადარ არიან უბრალო მოქალაქენი ძველის რუსეთისა, ისინი განსაზღვრულ ერთეულის წევრები არიან და დამფუძნებელი კრებაც შეიძლება იყოს მხოლოდ ამ ერთეულთა წარმომადგენლებისა და არა ძველის მასშტაბით გაზომილ ძალებისა. ამიტომ ძველმა დამფუძნებელმა კრებამ ჩვენთვის უკვე დაჰკარგა მნიშვნელობა. მეტსაც ვიტყვი, რაც უნდა შეეცადოს, კიდეკაც რომ შეიკრიბოს დამფუძნებელი კრება—მექანიკურად, თავისით მოისპობა, ვინაიდან მას ექნება პრეტენზიები ისეთის ერთეულის მპყრობელობის, რომელიც ადარ არსებობს—ესაა რუსეთი. ამიტომ ფაქტიურად არავითარი ძალა ექნება. ერები და ოლქები მას თავის პატრონად ვერ აღიარებენ, ხოლო ბოლშევიკური რუსეთი ეხლავე უარჰყოფს.

შაგრამ ძალიან საეჭვოა თვით მოწვევა დამფუძნებელ კრებისა, ან ყოველ შემთხვევაში მისი ხანგრძლივი არსებობა. ბოლშევიკები დამფუძნებელ კრებას მოსთხოვენ თავის მოქმედების დადასტურებას, ხოლო ეს უკანასკნელი ამას ვერ იზამს. ბოლოს და ბოლოს მას გარეკენ და ეს სრულიად უხმოდ მოჰხდება, რადგან, ვიმეორებთ, ძველი დამფუძნებელი კრება ვერ იქნება რეალურ ძალთა განწყობილების გამომხატველი და მოსარჩლეც არავინ გამოუჩნდება. ჩვენთვისაც დაჰკარგა მნიშვნელობა და ეხლა იმას უნდა ვესწრაფოდეთ, მოჰხდეს ცალკე დამფუძნებელი კრებები ერებისა, მათი საბოლოვო ჩამოყალიბება და შემდეგ თავისუფალი კონგრესი, თუნდ დამფუძნებელი კრება, რომელიც შეიმუშავებს ეროვნულ ერთეულების საერთიერთო ფორმას. ხოლო ვიდრე ეს მოჰხდებოდეს, ჩვენი საზრუნავი უნდა იყოს სწორედ ამ ერთეულების ჩამოქნა და ჩამოყალიბება.

შექმნილი მდგომარეობა გვავალებს აგრედვე დიდი ყურადღება მივაქციოთ ზავის საკითხს. ამ მხრით ამიერკავკასიის კომისარიატმა უკვე შესაფერისი ნაბიჯი გადასდგა. მაგრამ ჩვენი საბოლოვო მიზანი უნდა იყოს—რაც შეიძლება მალე ზავი. აქაც ჩვენ არ უნდა მოვერიდოთ დამოუკიდებელ მოლაპარაკებას, რადგან აქ საკითხი ეხება ჩვენს ყოფნა-არყოფნას, ჩვენს მომავალს, ჩვენს არსებობას. რუსის ჯარ-

*) იხ. „სახ. საქმე" № 137.

მა მიატოვა ბრძოლის ველი ტ. გაშიშვლებულ ფრონტს ჯარჯარობითვრავინ დაიცვს. ხოლო საომარი არც წინად გვქონია ვ სთანმი, არც ეხლა გვექნება, თუ ვინმე ჩვენს ტერიტორიას არ წაეპოტინება. მაშასადამე ამიერკავკასიამ დ უყონებლივ **საბოლოოვ ზავი** უნდა ჩამოაგდოს, მიუხედავად იმისა, რუსეთი განაგრძობს ომს თუ არა, რუსის ჯარი აქ აღარ არის, რუსეთმა ფაქტიურად შეწყვიტა ომი და ჩვენ არავითარი ინტერესი გვაქვს იგი განვაგრძოთ. ჩვენმა პარტიამ უნდა აღძრას საკითხი დაუყოვნებლივ ზავისა.

მაგრამ მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა ისეთია, რომ ზავის ჩამოგდებით საბოლოოდ არ ჰქრება გარეშე საფრთხე ან შინაური არევ-დარევა. ამიტომ ჩვენთვის ჯერჯერობით და მომავლის უზრუნველსაყოფად საჭიროა სამხედრო ძალა, მაგრამ ეს ცალკე საკითხია და იგი შეგვიძლიან სხვა დროს გავარკვიოთ.

დანასკვი ასეთია: ეროვნებათა დამფუძნებელი კრებები, მათი პოლიტიკური ჩამოყალიბება, უარყოფა ძველი რუსეთის დამფუძნებელ კრებისა და მოთხოვნა თავისუფალ ერების წარმომადგენელთა კრების მოწვევისა, რომელ ც უფრო სამართლიანი და მკვ დრი იქნება, ვიდრე იყო და არ ს ეხლანდელი დამფუძნებელი კრება. ჩვენი მოთხოვნილება აგრედვე დაუყოვნებლივ მშვ დობიანობის ჩამოგდება, **თუნდა ეს იყო ხელერატიული ზავი.**

სოციალური რეფორმები.

როგორი უნდა იყ ს ჩვენი სოციალური პროგრამა ამ ჟამად? როგორც ბკი ხკლი მიხვდებოდა, ძირითად აო შეცვლილა მდგომარეობა. ჩვენ დღესაც ძველებრ გვიხდება ბრძოლა ორ განუყოფელ საგნის—ეროვნებისა და სოციალიზმისათვის. დღესაც ორნაირი საფრთხე გვაქვს—გარეგან და შინაური, რაიც აოთულებს მდგომარეობას და ზოგჯერ აუტ ნელს ჰქმნის. მომენტი ეხლაც საკითხისაკენ გადაწყვეტას მოითხოვს, ორნაირადაც სწყვეტდა ჩვენი პოტია.

მძიმე ჩვენი მდგომარეობა. უკვე ყოველის ბოროთ შემოესივნენ ჩვენს ტერიტორიას, რკინის რკალივით შემოგვარტყეს და თუ ჩვენ რაიმე ძალა არ მივ ვეძებნინთ, წაგვლეკავენ. ეს გარეშე საფრთხეა. ხოლო მეორე საფრთხეა—შ. ნ. ერეა-დარევა. ის ტალღა ანაარქიისა და აია იდეურ ბოლშევიზმისა, მუშაგულ რუსეთში ოომ ა გორდა, უეჭველად ჩვენ ზედაც გადმოვა და საა. სო ხიმხეი აოის კიდევაც ბოლშევიკი ეოთხიო დიხაიუ ძალას წაიძოადგენენ. ისინი კ დევ ოალ ცას ჰაიოდიბიან ხალხ., ბიუხედ ვ დ იმისა, აოის თუ არა ბესაძლებელი დახაპირეის გაბოროციელეაა. ამიტომ ისინი საშიშნი არიან და თუ მივ ღებთ ახედყელობაში ძათ ატ ოულს გახწყაიღებაა და ზოგჯეო ჯოოვოკ ცულს გაიოლ შეოებაა ეროვნებათა და ოოთს საბჭ ეთ ს წ ნაღდგ—აქკდანაც საფ თაე დიდი ოოგკელის. ჩვენ მათ ეს ბჭ ელი იოაღი უნდა გამოვტაოოთ ხელიდ ნ. ყოველი სოციალური ოეფოოა ჩვენის ხელ თ უნდა გაკეთდეა და ამხაიოად დაღეკკელ უკ დეოესობას ხიადგი გაიოეკალოს. სტიქიონუ ტ ლდის ბემაუბეკეა შეგვიძლიან და ეს გვ ყალეაა ეხეოგიულ და სეოაფ ბოკ ეედეაა. თუ ქოოთველობამ და ოეყოლიუციონუოა დეკ ოატიამ ე ვერ ბესძლო, ჩვენი ქვეყეაა ბ ეოჭ ეა ბოეკ ეგ ს ასაოეეედ, ოასაც მოჭყვეეა ა ია თუ ოევოლიუციის ა ღუკა, ოოამედ საამბოილოს განადგურეაა.

რასაკვ ოველია, ზედ ეტია ლაპარაკი სოციალურ ოევოლ ეუციის შესახებ. ამ ხრით ჩვენი საშო ლიც ოუსეთის წინა ოოაა. იქ, სადაც ჯერ კიდევ ბრაველად მოიპოეეა ფეოდალ ზმის ნამთაკი—სი ციალისტეო ეკ ეპეოიმენ ტ ეის ბოხდეა და ბ ასბ ე ყვიოილ—დახაშ ულობაა სოციალ ზმ და საშშოძლოს წინაშ ე. ეს „ბეეაოცხეეეობა“ იმ ხასიათისაა, ოოძ ელ ზედაც თ ამ ძ ად შეგ ვიძლიან ვსთქვათ, ოოძ ეს არის საღ გონიერებაზე ბ ა ოკ ხნ ვ დ ომ ა.

მეორე ბ ოითაც ჩვ ენ ო ბ ა ც დგომ ა ოობაში ვ ა ო თ. გ ა ოეშ ე ა ფ ოთ ის წინაშე ჩ კ ენ უნ დ ა გ ვ ქ ო ნ ა დ ე ს **მ თ ლ ი ა ნ ი ე ო ე ვ ნ ე ლ ი ფ ო ო ნ ტ ი.** გ ა ო ე ე ბ ა ძ ა ლ ა ს თ ან ე ო თ ნ ა ი ო ი კ ლ ა ს თ ა კ ო ა ლ ა ც ი ა ა ა ს ა ბ ჭ ო ო ბ ა. ხ ო ლ ო შ ი გ ნ ი თ თ უ კ ლ ა ს თ ა თ ა ნ ა ბ ო ო ო ბ ა ა ო ა, ე ს კ ო ა ლ ა ც ი ა ვ ე ო შ ე ქ ნ ე ბ ა. თ უ ჩ ვ ე ნ ს ო ც ი ა ლ ე ო ი ო ი ბ ე ბ ი თ ა ო შ ე ბ ნ ე ბ ი თ ა ო ბ ა ბ ა ბ ა

გვიშალა დროიანად მოგვეხდინა ტფილისის ყველა ორგანიზაციებში დელეგატების არჩევნები. ზოგიერთ ორგანიზაციებმა უკვე აირჩიეს დელეგატები.

ყველა დანარჩენ საუბნო ორგანიზაციებში დელეგატების არჩევა მოხდება პარასკევს, 5 იანვარს. კრება დაიწყება ყველგან საღამოს სრულს 6 საათზე და დასრულდება არა უგვიანეს 9 ს.

1. ავლაბაში. (მარინეს ეკლესიის სკოლის შენობაში) მომხსენებელი ამხ. ქრ. რაჰველიშვილი.

2. კუკიასა და ჩუღურეთში (ჩერქეზიშვილის ქ. № 29)—მომხსენებელი ამხ. სამ, დადიანი.

3. ერთობისა და წმ. ნინოს უბანში (ერთობის უბნის მუშათა კლუბი) მომხსენებელი ამხ, თ, ღლონტი.

4. ნაძალადევის და მეათე უბანში (ნაძალადევის ეკლესიის სკოლის შენობა) მომხსენებელი ამხ. კ. გამსახურდია.

5. ხარფუხის უბანში. (პუშკინისეული სკოლა სურპ-სარქისის ქუჩა) მომხსენებელი ამხ. მ. საყვარელიძე,

ამხანაგებს დაბეჯითებით ვსთხოვთ დაესწრნენ კრებას.

ტფილისის კომიტეტი.

ბრძანება მოგვილიზაციის შესახებ

შინაგან საქმეთა კომისარმა ცირკულიარი დაუგზავნა საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო კომისარებს, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ ამ დღეებში ამიერ-კავკასიის კომისარიატის დეკრეტები გამოვა სამხედრო ბეგრის შესახებაო.

პირველ დეკრეტში გამოცხადებული იქნება ყველა ახალგაზრდა, რომელსაც მიმდინარე 1918 წლის 1 იანვარს 19 წელი შეუსრულდა, ამავე იანვარის 15-ს უნდა გამოცხადდეს სამხედრო სამსახურში. ვადა სამსახურისა 6 თვე იქნება. შეღავათი არავის არ მიეცემა, გარდა ავადმყოფებისა. სამსახური უნდა მოიხადონ მასწავლებლებმაც და ყოველგვარ დაწესებულებათა მოხელეებმა.

მეორე დეკრეტში შემდეგი იქნება გამოცხადებული: ის პირნი, რომელნიც სამხედრო ბეგარას იხდიან, ანუ უნდა მოიხადონ და მიმდინარე 1918 წლის 1 იანვარს 32 წლამდე შეუსრულდათ, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ თავიანთ ეროვნულ ჯარებში ამავე იანვარის 15-ს და იმსახურონ 6 თვე.

დეკრეტები არ ეხებიან დედის ერთა შვილებს. ყველამ უთუოდ თან უნდა მიიტანონ 3 დღის სამყოფი საგზალი.

უნდა გამოცხადდნენ თეთრბილეთიანებიც. არა კავკასიელებს შეუძლიანთ სხვაგან იმსახურონ, ოღონდ ეხლავე უნდა წავიდნენ ამიერ-კავკასიიდან.

თავისუფლება და ქართველი მაჰმადიანობა

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ რუსეთის დიდმა რევოლიუციამ გამოაცხადა ერთა თვითგამორკვევის სრული უფლება. არას გვთხოვს ეს თავისუფ- [illegible] ჩვენ ქართველ მაჰმადიანებს! [illegible] ქართველ ქრისტიანებ- [illegible] ძმებთან შეერ- [illegible] დავიცვათ ქართველებმა ქართველი ერის ინტერესები. ყველამ უნდა ვიცოდეთ რომ ქართველი მაჰმადიანები არა ვართ ქართველი ერის უცხო ვინმე, არამედ ჩვენ ვართ უძველესი დროიდან ნაწილი ქართველი ერისა, ღვიძლი ძმები ქრისტიან ქართველებისა. ჩვენ ქართველ ქრისტიანებთან გვაკავშირებს საერთო დედა ენა და საერთო სამშობლო და საერთო ისტორია და სხვა. ამისათვის დრო მოითხოვს, რომ ჩვენ ქართველი მაჰმადიანები და ქართველი ქრისტიანები შევერთდეთ და გვქონდეს საერთო ჭირი და ლხინი. თუმცა ჩვენ ქართველ მაჰმადიანებს ქართველ ქრისტიანებთან არ გვქონდა შეწყვეტილი კავშირი, მაგრამ დადგა დრო, როდესაც სიტკიცე და სიფოლადე ამ კავშირისა აუცილებელია. აი რას წერს გაზეთ „სახალხო საქმეში“ ეროვნული საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი: „საქმაჰმადიანო საქართველოს უნდა ჰქონდეს საკუთარი თვითმართველობა, რომლის დედა ქალაქი იქნება ბათუმი. ქართველ ქრისტიანებს უნდათ ერთობა და ძმური კავშირი ქართველ მაჰმადიანებთან“. ჩვენც დიდის სურვილით და დიდის მოწიწებით უნდა მივესალმოთ ამას. ჩვენ ქართველი მაჰმადიანები არავართ იმდენად განვითარებულნი, რომ დავაწესოთ თავისუფლება და თვითმართველობა, ოღონდ შეგვიძლია ჩვენ ძმებ ქართველ ქრისტიანებს შემწეობით დავაფასოთ თავისუფლება და ვეპატრონოთ ჩვენ საკუთარ სამშობლოს მართვა გამგეობას. დადგა დრო, რომ ქართველ მაჰმადიანებმა უნდა მივიღოთ თვით მართველობა. თვით-მართველობა ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენი საჰმამადიანო საქართველოს ბატონები მართვა გამგეობაში. მაგრამ ამნაირ ბატონობას უნდა სწავლა გათლება რომ ვეპატრონოთ ჩვენ საკუთარ სამშობლოს მართვა გამგეობაში. ამიტომ ჩვენ ქართველ მაჰმადიანებისათვის აუცილებლად საჭიროა დაუყოვნებლივ გაგზავნათ ჩვენ დედა ენაზე სასწავლებლები და მოვემზადოთ ჩვენი სამშობლოს მოსაწყობათ. ყველანი დარწმუნებული ვიყოთ რომ ჩვენი ძმები ქართველი ქრისტიანები ყოველ ნაირ საშუალებას და დახმარებას ამოგვიჩენენ. მარტო ჩვენთვის საჭიროა რომ ჩვენი ხელი გავაქნიოთ და შეუდგეთ საქმეს. პირადად მე უძღვნი დვიძლ ძმებს ქართველ ქრისტიანებს ღრმა მადლობას. გაუმარჯოს ქრისტიან და მაჰმადიან ქართველების ერთობას და ძმურ კავშირს. გაუმარჯოს თავისუფალ ქართველ ერს და სამაჰმადიანო საქართველოს თავისუფლებას.

ქობულეთელი ქართველი მაჰმადიანი

სულეიმან ირემაძე.

შევძლებთ?

როდესაც რუსეთის თავადაზნაურობელობის ნაფოტები ერთი-მეორეზე სცვიოდა ძირს, საქართველო მაშინ უკვე სისხლიდან ნახევრად იყო დაწრეტილი. მან თვის უმადურ ბატონს [illegible] ერის სახელსა და დიდებას შეადგენს. [illegible] ათასზე მეტი ჯანსაღი და საიმედო შვილი [illegible] ჩილებით მიართვა მის იმპერიალისტური ტინის დასაკმაყოფილებლად და თვისი ქონებრივი ავლადიდებაც და ერთგულებაც ფიანდაზად ფეხქვეშ გარდაუშალა. ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ეხლა დალუჭვის დაღმართზეა დაქანებული და ქართველების ძვლებით მოფენილია დასავლეთ რუსეთის ვრცელი მიდამოები. დაგვიფასეს კი ასეთი თავგანწირვა და ერთგულება? დაგვიფასეს... ქართველებზე ათასგვარ ჭორების გავრცელებით, დევნით და შევიწროვებითა. ბრძოლის ველზე რომ ქართველი მეომარი სისხლსა ჰღვრიდა, შინ მის ოჯახს ბოქაული და ჩაფარი აწიოკებდა. გარედ რომ ქართველი ხეხდრობა თვის სიცოცხლეს სასწორზე სდებდა, შინ მის საშობლოს თავზე, უმადურ ბატონების წყალობით, შავი ღრუბლები იკრიბებოდა. და ვინ იცის-რა საბედისწეროდ დაეგრგვინვათ ამ ღრუბლებს, რევოლიუციას რომ წითელი [illegible]ლამი არ აეფრიალებინა და გუშინდელი „თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთ ს, დიდი მთავარი ფინლანდიისა და სხვ. და სხვ. და სხვ. ნიკოლოზ მეორე „მოქალაქე ნიკო რომანოვად“ არ გარდაქცეულიყო. რევოლიუციამ ჰქმნა ის, რასაც თვითვეული ჩვენთაგანი გულის სიღრმეში ჰნატრობდა, არა, იმაზე შორს წავიდა და ღღეს რუსეთის დიდი გემი რევოლიუციის ტალღებზე აფრა აწყვეტილი და ნაფოტებად ქცეული უკზო-უკვლოდ აქეთ-იქით ეხეთქება. დიდი მთლიანი რუსეთი დაირღვა და დაიშალა მოულოდნელად და დიდ, უკულტურო და დამონებულ სახელმწიფოში იქმნება და სდგება მრავალი ახალი, კულტურისანი და თავისუფალი სახელმწიფო. უკრაინა, პოლონეთი, ლიტვია, ციმბირი, ფინლანდია, დონი, კავკასიის ერები და მრავ. სხვა დამხვრეულ მონობის ბორკილებს აჩხარუნებს და თავისუფალ სახელმწიფოს საფუძველზე აგებს თვის სხვალიო კეთილდღეობის მაგარ და ურღვევ შენობას. შეიხედეთ, მათ შორის რა ლამაზი და კეკლუცია საუკუნოებრივ მონობის ღუზიდან მოხსნილი თავისუფალ საქართველოს პაწია და იმედიანი გემიც! თავისუფლების ლივლივა ზღვისაკენ ემზადება აფრა-გაშლილი, მაგრამ... მაგრამ მას, როგორც სხვასაც, ფრიად სახიფათო და ფათერაკიანი მანძილი აქვს გასავლელი, ვიდრე იმ ზღვის მოციკვავე ტალღებში შესცურდებოდეს. რუ ეთი დღეს ანარქიის [illegible] ტალღებშია გახვეული და ისეთი ღრმაა სახელმწიფო ცხოვრების გულში ომისაგან და რევოლიუციისაგან გავლილი კვალი, ისეთი მღვრიე ნაძირალი ამოჰყვა ამ კვალს გულიდან, და ისე უსწორ-მასწოროდ სცემს რუსეთის გულზე რევოლიუციისა და ანარქიის ალი, რომ [illegible] ეს [illegible] იწყება ანარქია და სად თავდება რევოლიუცია. ანარქიის ციცხლს ელის ღღეს ჩვენი ქვეყანაც. საერთო აღრეგა და უზომო გაჭირვება ისეთ ატმოსფერასა ჰქმნის, რომელსაც შეუძლიან მოჰზხამოს სასიკვდილოდ ჩვენი ერის ორგანიზმი. მართალია ქართველმა ერმა როგორც იყო სცნო თავი თვისი და ღღეს შეერთებულ შეკავშ რებული მიიწრაფვის საკუთარ არსების გიმის გაღასარჩენად და თავისუფლების წმიდა ალამის რევოლიუციის ქარაშოტიდან შეუშლელად გამოსატანად, მაგრამ ამ შეკავშირებას, სავალალოდ, დუღაბი აკლია და ერის ცოცხალი ნაწილები ურთერთისთვის ისე ვერ შეუკოწიწებია, რომ ითქმოდეს თამამად: ერთ სულ და ერთ ხორცს. ერის ზოგიერთი ნაწილი თითქოს ვერ გრძნობსო მამულისა და ერის განსაცდელსა და გასაჭირს და ან პირად კეთილდღეობის ნაშეშედან ვერ გამომძვრალა, ან მისცემია უზრუნველ ცხოვრებას და წითელ ღვინიან აზარფეშასა და ვნება-აშლილობის მორევს ვერ გასცილებია. „განა საჭწუხარო მოვლენად არ უნდა ჩაითვალოს ის, რაც მეოთხე ქართულ პოლკის ჯარისკაცებმა ჩაიდინეს ეხლახანს გორში? და ეს იმის მაჩვენებელია, რომ ერის შემადგენელი ნაწილები დაავადმყოფებულია და საიმედო არ არის.

ქართველი ერის ბედი ბევრჯერა ყოფილა მტრის მახვილზედ გადაკიდული. რუსეთთან შეერთების დროს საქართველომ თავისი ხელით გადაისერა კისერი უტკივნეულოდ და გმინვა ქართველ ერს ხხოლოდ ასი წლის შემდეგ აღეთხდა. მისი ბედი ღღეს საერთო ზაოსა და ყიკინაში ხელმეორედ შეიდო სასწორზე და აწ უკვე საბოლოოდ, ან საქართველო უნდა აღდგეს და გამარჯვებისა და თავისუფლების სიმღერა დაგვგუგუნოს, გაათლებისა, და კულტურის ჩირაღდნად გარდაიქცეს ძველებურად, ან [illegible] და დაიღუპოს სამუდამოდ და მიკიოტმა სთქვას [illegible] მის ნაგრეგებში.

ქართველი ერი, სისხლად დაცლილი, იბრძვის არსებობისთვის, ქართველ ერს განაცდელთა რკალი ვიწროდ შემოვლებია და მის არსებობის საკითხი ყოფნა-არ ყოფნის საკითხად გარდაუქცევია.

შევძლებთ ამ განსაცდელთა ხევ-ხუვებში პირში სული შეგინარჩენოთ და საქართველოს და ქართველი ერის ალამი შეუბღალველი გამოვიტინოთ?..

ამაზე ახლო მომავალი იტყვის თავის სიტყვას...

ხანგანიძე.

ამიერკავკასიის ეროვნა

ამიერკავკასიის კომისარიატის დეკრეტის განსახორციელებლად, 1917 წ. 28 ნოემბერს რომ იყო გამოცემული და შეეხებოდა ამიერკავკასიაში ერობის შემოღებას—შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარმა ა. ჩხენკელმა დაარსა „საუწყებო კომისია ამიერკავკასიაში საერობო თვითმართველობის განსახორციელებლად. დროებითმა მთავრობამ ახალ საერობო დებულებათა გამოცემამდე, გამოსცა რამდენიმე კანონი;

1) 1917 წლის 21 მაისს სავოლოსტო ერობის შესახებ.

2) 1917 წლის 21 მაისს საგუბერნიო და სამაზრო ერობათა ხმოსნების არჩევნების შესახებ.

3) 1917 წლის 9 ივნისს შესცვალეს არსებული დებულება საგუბერნიო და სამაზრო საერობო დაწესებულებათა ახალ დებულების გამოცემამდე.

4) 1917 წლის 17 იანვარს არხანგელსკის გუბერნიასა. ციმბირსა, აკმოლინსკის, სემიპალტინსკის, სემირეჩინსკის, თურგაის და უფალის ოლქებში ერობის შემოღების შესახებ,

5) 1917 წლის 26 ივლისს დამატებანი საავოლოსტო საერობო დებულებათა.

6) 1917 წლის 21 სექტემბერს საერობო სამაზრო ერთეულების და გამოყოფილ ქალაქების ურთიერობის შესახებ.

დაარსებულ კომისიის მიზანია ყველა ხსენებულ დებულებათა შეერთება და ერთ მთლიან დებულების შემუშავება რათა შემსუბუქებულ იქნას საორგანიზაციო მუშაობა და გადაწყვეტილ იქმნას ამიერკავკასიაში ერობის შემოღების ცდის დროს აღძრული საკითხები.

კომისიას სხდომები ჰქონდა 2, 5, 15, 16, 17, 20, 22, 28 [illegible] 30 დეკემბერს და შემდეგი დებულებანი შემუშავა (საფუძვლად აღიარებულა სამართლიანი ერობა);

1) საერთო დებულება საგუბერნიო და სამაზრო საერობო დაწესებულებათა შესახებ ამიერკავკასიაში.

2) წესდება საგუბერნიო და სამაზრო საერობო დაწესებულებათა არჩევნების შესახებ (1 ნაწილი), საავოლოსტო ერობაში არჩევნების შესახებ (ნაწილი 2)

3) წესები ამიერკავკასიაში ერობის განხორციელებისა და

4) განაწილება საგუბერნიო, სამაზრო და საავოლოსტო ერობის დაწესებულებათა ხმოსნებისა.

ყველაფერი ეს წარედგინა ამიერკავკასიის კომისარიატს, იგი დაამტკიცებს და ამ დღეებში დაიწყება საერობო არჩევნები. კომისია განაგრძობს მუშაობას და ეხლა უკვე ათავებს საერთო დებულების მე 2 ნაწილს და შესავალ კანონს.

ზოგიერთ გაზეთებში მოთავსებული ცნობა, ვითომ კომისიის სხდომები რამდენიმეჯერ ვერ გამართულიყვეს უქვორუმობის გამო—შემცდარია. ყველა აღნიშნული სხდომა შესდგა და მუშაობაც სწრაფად სწარმოებს.

არეულობა გაძოში

პეტროვსკში დაკავებული ფქვილი, რომელიც ბაქოში უნდა გაგზავნილიყო, საოლქო სასურსათო კომიტეტის განკარგულებით ტფილისში გაიგზავნა. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა საჭიროდ სცნო, რომ ეს ფქვილი განწილებული ყოფილიყო ბაქოს მცხოვრებთა შორის და დეპეშით აცნობა, რომ ფქვილი დაებრუნებინათ ტფილისში. ასევე მოიქცა მუშათა და ჯ. კ. საბჭო.

29 დეკემბერს საგუბერნიო სასურსათო გამგეობას მოადგა ბრბო, რომელიც ემუქრებოდა სასურსათო გამგეობას, რომ მან განზრახ ტფილისში გაგზავნა ფქვილი. ექვსასი ფართო ხასიათს მიიღებდა, რომ დროზე სამხედრო ნაწილები არ მოშველებოდა, განსაკუთრებული ენერგიით მუშაობდნენ ფქვილის ვაგონები, რომელნიც აქეზებდნენ ბრბოს სასურსათო გამგეობის წინააღმდეგ.

შეიღება [illegible] სასურსათო გამგეობა განმარტებების მისაცემად [illegible] ერთად წავიდა ელექტრო-თეატრ [illegible] „კოლოსეუმში“. აქაც გაისმოდა ბრბოში პროვოკაციული მოწოდებები, ბრბო ემუქრებოდა, რომ იარღით ხელში გაანადგურებდა სასურსათო კომიტეტს.

რადგან მდგომარეობა სერიოზულია, მუშათა საბჭომ გადასწყვეტა გაძლიეროს სასურსათო ორგანიზაციების დაცვა და პატრულები დაყენოს ქალაქში.

ამიერკავკასიის რკინის გზაზე.

28 დეკემბერს აჯიკაბულისა და უჯარის შუა ყაჩაღები დაეცნენ მეცხრეს და სიკვდილით დაემუქრნენ, თუ ის ისარს არ გადასწევდა საფოსტო მატარებლის გასვლის წინ.

სადგურ ევლახის შენობა, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა და სადგურის ახლო მყოფი მაღაზიები და კანტორები განადგურებულია ციცხლით. ნავთის აუზები ცეცხლშია გახვეული, ზომების მიღებაა საჭირო, რომ სად. ევლახის ნავთის აუზებიც არ იმსხვერპლოს ცეცხლმა და რკინის ხიდიც არ დაიმსხვრეს, წინააღმდეგ შეთხვევაში რკინის გზაზე მოძრაობა საბოლოოდ შეწყდება. ხარალი ევლახში გაჩენილ ცეცხლისაგან 5 ძილიონ მან. უდრის

სად. აქსტაფიდან სადგურის უფროსი იტყობინება, რომ მოსალოდნელია თავდასხმა აქსტაფაზე. მოსამსახურენი სთხოვენ დახმარება აღმოუჩინონ.

აქსტაფიდან ბაქომდე რკინის გზას სამხედრო ნაწილები იცავენ.

წინარეხის გლეხობა და კომისარი სოლო სამადაშვილი.

ამ დღეებში ჩვენა პარტიულს კლუბში მოვიდენ სოფ. წინარების გლეხები: დავით ხმალაძე და გაბრიელ ტურუაშვილი, რწმენით სოც.-ფედერალისტები. როდესაც გამოკითხე ჩვენი პარტიის საქმეები სოფ. წინარეხში, მიპასუხეს, რომ სოფელი ძალიან ცუდს მდგომარეობაშია ყოველის მხრივ ახალქალაქის (გორის მაზრა) კომისარის სოლომონ სამადაშვილის მეოხებითო. რევოლიუციის პირველი დღეებიდანვე ჩვენი სოფელი დიდს გაჭირვებას და ვაი-ვაგლახს განიცდის. ჩვენ ვერ ვარჩევთ ძველსა და ახალს მთავრობას, ჩვენ ორივე ერთნაირად გვაწვალებს და გვტანჯავს. როცა რევოლიუცია გამოცხადდა, ვეღირსეთ თავისუფლებას, ჩვენმა სოფელმა მაშინვე გადაათვალიერა და გადასინჯა ყველა პარტიების პროგრამები და მათში ამოარჩია მხოლოდ ის, რომელიც უფრო ახლოს იყო მიწის მუშის ინტერესებთან, ვინც უფრო მოუპოვებდა მიწის მუშებს—გლეხებს სასურველ კეთილდღეობას და თავისუფლებას. ჩვენმა სოფელმა ასეთ პარტიად სცნო საქართველოს სოც.-ფედერალისტა სარევოლიუციო მშრომელთა პარტია და ერთხმად აღიარა, რომ მუდამ მისი წევრნი იქნებოდენ და ამ პარტიისთვის თავს არ დაზოგავდენ. ჩვენ მაშინვე შევიძინეთ დროშა შესაფერის წარწერით, მაგრამ, როდესაც გამოვიტანეთ საზოგადოების ყრილობაზე, კომისარი დაგვემუქრა, და შემდეგ ზოგიერთმა ვაჟბატონებმა კიდევაც დაგვიხიეს და გაგვითელეს ჩვენი საყვარელი წითელი დროშა. ჩვენ იმედი მაინც არ დაგვკარგავს, სასოწარკვეთაში არ ჩავარდნილვართ, როდესაც ირგვლივ გვესმოდა ყალბი და ცრუ აზრები ჩვენს პარტიაზე და ისევ განვაახლეთ ჩვენი დროშა. მაგრამ მას შემდეგ მტრად გადმოგვეკიდენ კომისარიც და მისი სურვილების განმახორციელებელნი მილიციონერები ს. ახალქალაქისა. ჩვენ ვითხოვდით ასეთს ძუქარებს და ზოგიერთი მუქარის შესრულებასაც კომისარ-მილიციონერებისაგან, რადგან გვეგონა, რომ როდესაც იქნებოდა დაცხრებოდენ და თავს დაგვანებებდენ. მაგრამ მოვტყუვდით, მოვტყუვდით მწარედ. მათ აიც აზრი და აიც ძოქმედება ჩვენზე არ შეუცვლიათ. მუდამ მტრულად გვიყურებდენ და გვეძებოდენ.—ამ დააფუძნებელ კრების აირჩევნების წინ კი მილიციონერებს სულ არ ეძინათ, ათასნაირებით ხელში სულ იმას ჩაგვჩიხებდენ, რომ ხმა მიგვეცა პიოველი ნომოისათვის. მაგრამ სოფელს არ ეღალატნია თავის მიერ ეთხოვნილი დასახული იდეისათვის და ხმები მისცა თავისთვის სასარგებლო პარტიის სიას მეექვსე ნომერს.

დამთავრდა არჩევნები სოფელ წინარეხში და გათიოკვა, რომ ძეტს ხაწილს სოფლისას ხმა მიეცია მეექვსე ნომრისთვის. მას შემდეგ შეეკითხა და მკაცრის მოქმედებით უკასპიხ- [illegible] ს. ახალქალაქის კომისარი სოლომონ [illegible] სამადაშვილი თავგზა დააკარგა მილიციონერები. [illegible]

სოც.-დემოკრატიის ეს ბეცი [illegible] წე გაიარაზებით უკასუხეს ძლდება წინარეხელებს: „როგორ გაბედეთ და სოც.-ფედერალისტებს მიეცეთ ხმა ამის შემდეგ, როდესაც თქვენ ეს აკრძალული გქონდათ დამფუძნებელ კრების აირჩევნეების წინ ჩემი მილიციონერებისაგან! რამდენჯერ? რამდენჯერ გითხარით, რომ ეთად ეთი მუშათა პარტია—ეს სოციალდემოკრატიაა და თქვენ ეხეროთ ამ, ვისაც სურთ ბატონყმობის აღდგენა?“ და აქ ისმოდა ხოლმე წინაეხელ გლეხების ბეჭებზე მათრახების ტყლაშატყლაში.

თურმე ეს „საუკეთესო პარტიის“ წევრი დამფუძნებელი კრების აირჩევნების წინ აგზავნიდა ჩვენს მენშევიკებთან ერთად თავის მილიციონერებს და დემოკრატიული აირჩევნეების მოსახდენად „დემოკრატიულად“ ამუშავებდა: „არც ერთმა თქვენგანმა ხმა არ მისცეს სოც.-ფედერალისტებს, თორემ, თუ ადრე დროშები დაგიხიეთ და გაგითელეთ, ღღეს თავებს დაგკვეთავთო“.

და მართლაც, ჩვენს კომისარს თუმცა „თავების დაკვეთა“ არ შეუსრულებია, მაგრამ არასაკლები ზიანი მიუყენებია სოფ. წინარეხის გლეხებისთვის. ახლოდ ეს დაპირებათა [illegible] ჯერ არ დამთავრებულა. ჯერ სოფელს არ შეეძლია ეგზეკუცია და სახლების გადაბუგვა, რასაც შეჰპირებია ეს „დემოკრატი“.

სოფელი ამის გამო შიშს განიცდიდა, ითათბირა და გადასწყვიტა გაგზავნილ იქნენ ქ. გორის სამაზრო კომისარიატში ამორჩეული კაცები, რათა მათ აეხსნათ სოფლის უფროსი მდგომარეობა სამაზრო კომისარიატისთვის, რომ ამ უკანასკნელს ეხსნა სოფელი კომისარ სოლომონ სამადაშვილისაგან.

სოფლის ეს დადგენილება სისრულეშია მოყვანილი და ვნახოთ რას მოიძოქმედებს გორის სამაზრო კომიტეტი!

ვანო ნიკოშვილი

პიტას ხსოვნას

ამ ხუთი ექვსი წლის წინათ კიტა და გ. ლასხიშვილი პირველათ ეცუმრნენ ჩემ სამშობლო კუთხე კახეთს, როცა იქიდან დაბრუნებული კიტა ამოვიდა ჭალთურაში შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მორიგ სხდომაზე, მივმართე კითხვით, როგორ მოგეწონა კიტა ჩემ სამშობლო [illegible]?

ამ კიტ[illegible] [illegible] ბულობა და ღიმ [illegible] [illegible] [illegible]

ლაქის ბედ-იდბალი და არც ყურადღებას აქცევდნენ.

22 დეკემბერს მომხდარი კრება ხელმეორედ იყო დანიშნული და ამიტომ კრების თავმჯდომარემ ლ. გოგნიაშვილმა კანონიერად გამოაცხადა.

სხდომის დაწყებისას ხმ. ვ. პაატაშვილმა მოახსენა საბჭოს ჩვენი ცნობილ საზოგადო მოღვაწის და სოც.-ფედერალისტის სარეგ. პარტიის ერთ საუკეთესო თვალსაჩინო მუშაკის კიტა აბაშიძის გარდაცვალება და წინადადება შეიტანა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულის ხსოვნისათვის და თანაგრძნობის დეპეშა გაეგზავნა საბჭოს სოც.-ფედერ. მთავარ კომიტეტისათვის, რაიც საბჭომ ერთხმად მიიღო და ოქმში შეიტანა.

მოკლე, მაგრამ ცხარე კამათს იწვევს სახადის მიერ გამოწვეული ხარჯები. ამას წინად სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს ბინაზე ჰრაპ. მამულაშვილი გახდა შავი სახადით ავად, რომელიც იქვე მოათავსეს და ქალაქმა ზომები მიიღო როგორც ავადმყოფის, ისე სატკივრის წინააღმდეგ ეხლა ავადმყოფი განიკურნა საბედნიეროდ სენიც მოისპო და საქმე მიდგა ხარჯების გასტუმრებაზე. ხმოსნები ერთხმად აშტკიცებდნენ, რომ ქალაქს რომ ცალკე ბარაკი ჰქონოდა და ავადმყოფი იქ გადაეყვანათ, ქალაქს რასაკვირველია უნდა მიეღო მთელი ხარჯი, მაგრამ ამ შემთხვევაში, როცა ავადმყოფი თავის ბინაზე იქმნა დატოვებული და ექიმი მიუჩინეთ, ხარჯი თვით ავადმყოფმა უნდა იკისროს. მით უმეტეს მას არ ესაჭიროება დახმარება და საბჭომაც ასეთი დადგენილება გამოიტანა.

ქალ. თავმა კ. ანდრონიკაშვილმა მოახსენა, რომ მოსე ხითაროვის შემოწირულებით საავადმყოფოს გახსნის საკითხი ხორციელდება და გააცნო ხმოსან ექ. თუმანჯანოვის წერილი ერთი რწმუნებულის გაგზავნის შესახებ ტფილისში გაუქმებულ საავადმყოფოების საწოლების და სხვა იარაღის შესაძენად. საბჭომ გადასცა ეს საკითხი საავადმყოფო კომიტეტს და დაავალა საჩქაროდ კაცის გაგზავნა ტფილისში. ამას გარდა ქალ. თავმა მოახსენა ცნობად, რომ დღეიდან ქალაქის მილიცია ქალაქის განკარგულებაში გადადის, რომლის შენახვა ოკტომბერში დაუჯდა 2302 მანეთი, 30,000 მანეთი ცალკე იქნება მოქალაქეებზე გაწერილი.

ხანგძლივ და მწვავე კამათს იწვევს ბაჟის საკითხი.

გამგეობას შემოაქვს საკითხი, რომ შემოსავალი ხარჯებს არა ჰფარავს და იძულებულია ბაჟი დაადოს ყველა შემოტანილ საქონელს და სანოვაგეს. ეტყობა ხმოსნები სთანხმდებიან და სდუმან.

ამის წინააღმდეგ გამოდის ხმ. ვ. პაატაშვილი და სასტიკ პროტესტს უცხადებს, თუ ბაჟიდან არ გათანთავისუფლებენ შუშას და იმ სანოვაგეს, რომელსაც უფრო მშრომელი შეუძლია ხალხი ხმარობს. შუშას მომეტებულ ნაწილად თელ. რაიონზე ყიდულობენ განსაკუთრებით ღარიბი ხალხი, ერთი ურმის ფასიც არა აქვთ და ხშირად ორი-სამი ოჯახი იყოფს და ამას ზედ რომ ბაჟიც დაერთოს, მაშინ, როცა მდიდარნი, რომელნიც საქონლით ყიდულობენ და პირდაპირ ტყიდან ჩამოაქვთ ერთ გროშს არ გადაიხდიან. რაც შეეხება ხარჯებს—განაგრძობს ხმოსანი—რასა ჰფიქრობდა ქალაქ ს გამგეობა, რომ თავის მოღვაწეობას ღღიდან ხარჯებს სულ უზომოდ უმატა, საბჭომაც ქალ. გამგეობასთან მეორე გამგეობა დაარსა სასურსათო კომისიის სახით, რომლის ხარჯი ისევ მოქალაქეთ აწვებათ ტვირთად. ეს კომისია კი სულ მეტია და გამგეობას ადვილად შეეძლო შეესრულებინა მისი მოვალეობა და ბოლოს უსაყვედურებს ხმოსნებს, რომ 4 თვის განმავლობაში სულ ხარჯებს უმატებენ, აგერ მეორე ოთხაში ამ საათში 30 ათას მანეთს აწერავენ მოქალაქედ და ყველა ეს კი მომეტებულ ნაწილად შეუძლებელ მშრომელ კლასს აწვება მძიმე ტკირთად, რომლის საკეთილდღეოდ გამგეობა-საბჭოს ჯერ არაფერი უფიქრიაო...

ხმ. პაატაშვილს უპასუხებს გამგეობის წევრი გ. ტერ-არუთინოვი, რომ ამისთანა დროში ძნელია კულტურული მუშაობა და 4 თვეში შეუძლებელიც იყო რისიმე გაკეთება; რაც შეეხება ბ ეს და ხარჯებს ეს აუცილებელია, რადგან უფულოდ თვით ქალაქის თვითმართველობაც კი ვერ იარსებებსო და სხვ...

ცხარე კამათის შემდეგ, საბჭო, ერთის წინააღმდეგ, იღებს გამგეობის მოხსენებას ბაჟის შემოღების შესახებ.

ბოლოს ქალაქის ექიმი გ. ავალიშვილი მოხსენებას აკეთებს თელავის რამდენიმე ნაწილად გაყოფის და სანიტარულ მზრუნველობის დანიშვნის შესახებ ყველა ნაწილში და ამით თავდება სხდომა.

დავიწყებული.

წერილი გაქოდან

„ხიტყვის თავისუფლება“!

სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგმა აქაურმა ბოლშევიკმა ჯაფარიძემ ადგილობრივ გაზეთის „ბაქოს“ რედაქტორს გ. სტარცევს წინადადება მისცა დაუყოვნებლივ წარმოადგინოს საჭირო საბუთები ქალაქ გროზნაში მომხდარ არეულობათა გამო გაზეთის 271,272 და 278 ნომრებში მოთავსებულ ცნობების და წერილების შესახებ. რედაქტორი სტარცევი არ დაემორჩილა კომიტეტის გარდაწყვეტილებას და საბუთიც არ წარუდგინა მას, აღნიშნა მხოლოდ გაზეთისავე საშუალებით, რომ ყოველგვარ დანაშაულის შესახებ ის აგებს პასუხს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის რესპუბლიკის სამსჯავროს წინაშე.

ამ ამბის გამო აქაურ ჟურნალისტებს 18 დეკემბერს კრება ჰქონდათ გაზეთ „კასპის“ რედაქციაში; მათ განაცხადეს ძლიერი პროტესტი ცენზურის შემოღების წინააღმდეგ. ამას გარდა მოუწოდეს ყველა საზოგადო დაწესებულებათ და ორგანიზაციებს არ მისცენ ნება შეურაცყონ პრესა და სიტყვის თავისუფლება.

გაზეთ „კასპის“ ასოთ-ამწყობებმა და მუშებმა ამავე ამბის გამო ერთ-ერთ თავიან კრებაზე დიდი ხნის კამათის შემდეგ მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც გმობენ რევოლიუციონურ კომიტეტის საქციელს და მოუწოდებენ სხვა სტამბების ასოთ-ამწყობებს, დაიცვან სავსებით სიტყვის თავისუფლება.

—

[illegible] ენა!

წ.-კითხვის [illegible] ავრცელებელ საზოგადოებრივ განყოფილების გაგზავნილის გარდაწყვეტილების თანახმად აქაური ქართული სკოლა უნდა გადაკეთდეს უმაღლეს პირველ-დაწყებით სკოლად. უკანასკნელი განყოფილება სკოლისა (მეოთხე) პირველ კლასად ითვლება. რადგანაც პირველ კლასში უკვე ერთ-ერთი უცხო ენა, განყოფილებამ გადასწყვიტა ასწავლოს გერმანული. ამ ენის მასწავლებლად მოიწვიეს ჩვენი ამხანაგის ექიმ გრ. ალშიბაიას მეუღლე **ბაბილინა**, რომელიც მუყაითად შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას და აგრეთვე უარი განაცხადა სასყიდლის მიღებაზე.

წ. კ. საზ. განყ. მომავალი წლის გასავალი 40 ათას მანეთამდე აქვთ ნავარაუდევი, რომლის მიღება ძაან გაჭირდება, მით უმეტეს წელს სხვადასხვა საპატიო მიზეზებისა გამო, ქართულ ტრადიციულ საღამოს, რომელიც დიდ შემოსავალს იძლეოდა, ადარ მართავენ!.. მაგრამ იმედი უნდა გვქონდეს აქაურ მდიდრებისა, რომელნიც ჩვეულებრივად შესძლებენ საღსარი გამოსძებნონ და სკოლას არსებობა შეუნარჩუნონ!

—

გადამდები ხნეულებანი!

ბოლო ხანებში ბაქოში მძვინვარებს სხვა და-სხვა გვარი ფორმის გადამდები ხნეულება, რომელიც განსაკუთრებით ბავშვებს მუსრს ავლებს. მეეზოვეების გაფიცვებმა და ამათ გამოწვეულმა ქალაქის უსუფთაობამ და ანტი სანიტარულმა მდგომარეობამ გაავრცელა გადამდები ხნეულები: ყვავილი, ტიფი, ყელ-ჭივრება და სხვა, რომელთაც ქართველი ბავშვებიც იმსხვერპლეს. ტიფმა მოუკლა შვილები ორს აქაურს ქართველს მასწავლებელს ჩიხლაძეს და მ. რამიშვილს; პირველს სამი წლის ქალი და მეორეს ცამეტი წლის ქალი და ცხრა წლის ვაჟი. ეს სენი მეტად გავრცელებულია აქაურ მოწფეთა შორის და საწინააღმდეგო ზომები ვერ არის სათანადოდ მიღებული; ამბობენ სალმელი წყალი არის მოწამლული!

—

ქართული წარმოდგენა!

23 დეკემბერს გაიმართა მორიგი ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს ამ სეზონში მოწვეულ რეჟისორის ა. წულუკიძის ხელმძღვანელობით ადგილობრივ სცენის მოყვარეთა ძალით: „ოტელო“ შესანიშნავ სურათი „მაღაროს უფროსი მუშა“ და დ. კლდიაშვილის ერთმოქმედებიანი პიესა, დასავლეთ საქართველოს ცხოვრებიდან, „უბედურება“. წარმოდგენამ საერთოდ მწობრად ჩაიარა, ყველგან და ყველაფერში სჩანდა რეჟისორის ხელი, მოთამაშენიც საკმარისად იყვნენ მოშზადებულნი. პიესები მხატვრულად იყო დადგმული განსაკუთრებით დ. კლდიაშვილის „უბედურება“. ყურადღებას იქცევდა მასიური სცენები. ვინც იმერულ სოფლებს და იქაურ ზნე-ჩვეულებას იცნობს, ის ამ სცენებში ერთ ადგილსაც-კი ვერ მოსძებნიდა ყალბს, არსად პატარა გადაჭარბებაც-კი არ იყო! სცენის სიპატარავე უშლიდა მხოლოდ ხელს: პატარა ბიჭი ღობეს მომდგარი ძალზე ყვიროდა: ნატალია, ნატალიაო და ღობე კი ახლო იყო! მშვენიერი სურათი იყო იმერული ხალხური ჩვეულება „გადალოცვა“. ამ პიესაში კარგად თამაშობდა ბეჟუაშვილი (პავლია) ბოხუა (ამირანა) და გოგობერიძე (ილია) კარგად თამაშობდენ, მხოლოდ იმერულ გამოთქმას აშარტებდნენ.

„მაღაროს უფროს მუშაში“ ა. ახობაძე, მ. კალანდაძისამ, გ პავლიაშვილმა ან. ნადირაძისამ და ვ. მატარაძემ თავიანთი როლები კარგად შეასრულეს: იშვიათად მინახავს სცენის მოყვარეების მიერ ასეთი მწყობრი თამაში, ნამდვილ პროფესიონალურ მსახიობთ ედარებოდნენ!

„ოლელოშიაც“ კარგები იყვნენ გ. პავლიაშვილი ვენეციის მთავრის როლში, პ. ოცხანელი ბრაბანციოს როლში მ. კალანდაძისა დეზდემონას და დ. კოპალი ოტელოს როლებში. დ. კოპალმა, დიქცია თუ გაისწორა, კარგი სცენის მოყვარე დადგება! მოსაწონია, რომ რეჟისორი ალ. წულუკიძეც ასე კარგად წვრთნის სცენის მოყვარეებს!

ლახგანიძე.

ოქმი.

1917 წელსა 4 დეკემბერს. [illegible] ბულად მოწოდებისა [illegible] ბუთის საეპარქიო [illegible] ეპიფანეობის გამგისა, ამა სასწავლებლის შენობაში შესდგა სრული კომპეტენტიური საეპარქიო საბჭოს წევრთა კრება ხსენებულ გამგის თავმჯდომარეობით.

კრებამ თანახმად 26 ნოემბრის ამა წლისა საბჭოს სიტყვიერი დადგენილებისა შესახებ ინცინდენტის მასწავლებელთა და ამ სასწავლებლის მასწავლებელთა ამრჩევ კომისიის შორის (იხილე ოქმი № 1 4 სექტემბრის 1917 წ.) არსებითად განიხილა მთელი საქმე და შემდეგ ამისა სიტყვიერად მოისმინა ახსნა-განმარტება მასწ. მ. ხელიძისა და, სათანადო მსჯელობის შემდეგ, დაადგინა:

საპედაგოგიო კრებამ, როგორც ადმინისტრაციულმა სრული კანონიერი უფლებით, რომლის კომპეტენციაში, თანახმად მეოთხე მუხლის დადგენილებისა 21 ნოემბრის 1917 წ. საკათალიკოზო დელეგატთა საეკლესიო კრებისა, სავსებით შედის ამ კითხვის მოგვარება—საბოლოოდ გადაწყვიტა,—მიიღო რა მხედველობაში, რომ ხთელა აღნიშნული ინცინდენტი გამოწვეული ყოფილა საერთო გაუგებრობისა ნიადაგზე და იმ ბრალდებებში, რომელთ ძალითაც მასწავლებელი მელ. ხელიძე გადაყენებულ იქნა მასწავლებლობიდან ის სრულიად მართალი აღმოჩნდა და, ამიტომ სცნო რა მასწავლებელი მ. ხელიძე უდანაშაულოდ,—დაადგინა: 1) აღდგენილ იქნას მასწ. მ. ხელიძე თავიდგან თავის მასწავლებლობის ადგილზე; 2) აგრეთვე დანარჩენი მასწავლებლების შესახებ დადგენილება ამრჩევ კომისიის ოქმში № 1 იქნეს გაუქმებული; 3) ყოველივე საკითხი ინცინდენტის შესახებ დღეიდან იქნას მოსპობილი ყოველივე დაწესებულებაში და 4) პირი ასეთი დადგენილებისა იქნეს გამოქვეყნებული პრესის საშუალებით.

პედაგოგიური საბჭო.

დედანიდან ნამდვილია.

საქმის მწარმოებელი **სერ. კაჭარავა**

წერილი რედაქციის მიმართ

ქ. შ. წ.-კ. საზოგადობის სოფ. ჭყონგვრ! უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს გამგეობა უგულითადეს მადლობას სწირავს ქვემოდ აღნიშნულ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და ბეჭდსენებულ წიგნთსაცავ სამკითხველოს ფონდის გასაძლიერებლად გაიღეს თავიანთი წვლილი. სია შემომწირველთა:

იოანე პეტრესძე რამაზაშვილი—50 მან., ალექსანდრე რამაზაშვილი—10 მ. ნიკოლოზ ნასრია—5 მან, გიორგი ნიკოლაიშვილი—10 მან., ნინო ართმელაძე—3 მან., ლიუდმილა კალანდარიშვილი—3 მან. და ალექსანდრა ურუშაძისა—2 მან.

ვიმედოვნებთ პატივცემულ შემომწირველთ მიმბაძველები აღმოუჩნდებიან.

ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების ჭყონგვარია წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარე:

სტეფანე ნიკოლაიშვილი

გამომცემელი
ნასიზონ ზიგანცალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

საგუბერნიო-ტერ-დაბიდოვისა

ნიკოლოეფის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ნ. ვ. აბრამიანისა

საგუბერნიო-ტერ. კურსები

(არსებობს 1895 წლიდან).

დებულობს მოწაფეთ ორივე სქესისას. კურსები 4 თვიანია, ყოველ დღე მაცადინეობით.

15 დეკემბრიდან დაიწყო თხოვნების მიღება. სწავლა 1918 წლის 15 იანვრიდან იწყება. პროგრამა და მიღების წესის ქაღალდი მიეცემა ყველას ნიკოლაევის ქუჩა № 22. ტელეფონი 7—44. 2259

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს სადილობამდე ავადმყოფებს [illegible] დღეში 5—6 ს.-დე კვირა დღეს [illegible] მისამართი: [illegible] ქ. № 67, [illegible] საზოგადოების შენობის პირდაპირ, სამი სანანინ[illegible] 1059

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს [illegible] ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი: [illegible] № 7.

ექიმი

შ. ა. მიქელაძე

[illegible] ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, [illegible] № 117.

ს. ზ. მირზოევი

[illegible] ავადმყოფობა, [illegible] 1½—2½ ს., [illegible] № 1. [illegible] 16—67.

ექიმი

გ. ბ. ნარიმანოვი

[illegible] ავადმყოფობა. [illegible] „606“ [illegible] ავადმყოფები [illegible] ყოველ დღე საღ. 5½ ს.-დან 8 ს.-დე. [illegible] № 33. [illegible] № 16—17. 487

ექიმი

დ. შარაშანიძე

იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პაველოფის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი

თიკანაძე

იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: [illegible] ქ., 18, [illegible] № 11—32.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, [illegible] საღამოს 5—7 ს. [illegible] 14—[illegible].

ექიმი

ნინო რცხილაძე

[illegible] ავადმყოფებს [illegible] 9—2 [illegible] 5—7 [illegible] ბაზბეგის ქუჩა, 14, [illegible] ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი

პავლე არდაზიანი

[illegible] იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 2040

ექიმი

ვ. მუსხელიშვილი

იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი

ლ. დ. ფავლოვიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 ს. მისამართი: [illegible] № 28/31. 151

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეჰრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა.

შინაგან ავადმყოფობა—[illegible] ბავშვთა. [illegible] **ბინაში, გამოკვლევა და წამლობა** [illegible] **ხსნეულებათა, თვის დუში** [illegible] **ტიპისა, დიდი სალონიდი, განსაკუთრებული ნაკადები** [illegible] **ხსნეულებათვის, ბუნებ ავადმყოფობისა, ავადმყოფებს** [illegible] **ყოველ დღე** [illegible] **ბ., ბაზუოთოვის ქ., № 23, ტელეფ.** [illegible] 623

ექიმი

ე. [illegible]

[illegible] ავადმყოფებს [illegible] 11½ ს.

[illegible]

[illegible]

[illegible]